

3. 8. 5. 6. 1. 1. 1.

ბესიკის დაბადების თარიღი¹

XVIII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის ბესიკის (ბესარიონ გამაშვილის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი დეტალი დღემდე მურუსით მოცული რჩება. თვით პოეტის დაბადების თარიღიც კი დოკუმენტურად არ არის დადგენილი.

ბესიკის თხზულებათა ფაქტიურად პირველი გამოცემული ზ. ჭიჭინაძე 1885 წელს წერდა: „ბესარიონ გამაშვილი დაიბადა 1749 წ. ქ. თბილისში, ამ რიცხვს ცხადლევ ამტკიცებს ბესარიონის საფლავის ქვის ზედ წარწერა“².

საფლავის ქვის წარწერაში კი, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ იქვე გამოაქვეყნა, ეკითხულობთ: „საფლავსა ამასა შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ იოზიან გამაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისაგან დგსპანათ რუსეთის დიდებულების საიმპერატორო კარისადმი და მოიცვალა აქა იასსა წლისა მ (40) წელსა ჩუკა (1791) იანვრის კდ (24) მთლევლსო შენდობას მთხოველი“³.

ეპიტაფიის გამოქვეყნებით ზ. ჭიჭინაძემ იშთავითვე შექმნა საფუძველი ეჭვს შეეტანათ ბესიკის დაბადების მის მიერ შემოთავაზებულ თარიღში, რადგან თუ ბესიკი 1791 წლის 24 იანვარს 40 წლისა იყო, რა თქმა უნდა, იგი 1749 წელს დაბადებული იქნებოდა. ეს კარგად შენიშნა ს. რ. გორგაძემ და თუმცა იგი ზ. ჭიჭინაძის მიერ საფლავის ქვის წარწერის წყაროს მიუთითებლობის გამო ერთგვარ სინახულს გამოითქვამდა, მაგრამ ბესიკის თხზულებათა მეორე გამოცემის შესავალში 1912 წელს წერდა: „ბესარიონ გამაშვილი დაიბადა 1750 წელს და გარდაიცვალა 1791 წელს, 24 იანვარს, რაცა იგი დაბადებიდან „ორმოცის წლისა“ ყოფილა“⁴.

1921 წელს გ. ლეონიძემ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთი ხელნაწერის ბოლო ფურცელზე აღმოაჩინა მინაწერი, ბესიკის ავტოგრაფი (ბესიკის ირანს მოგზაურობის დღიურის ნაწყვეტი), რაც აცნობა ს. გორგაძეს.

¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და მსრ. კავშირის ხელთა ისტორიის კათედრების გაერთიანებულ სეკარო სემინარზე 1962 წლის 30 ოქტომბერს წაკითხული მოხსენების ნაწილი (ინფორმაცია იხ. ვახ. კახიანი, 1962, 12, XI).

² ზ. ს. ი. კ. ა., ლექსნი, თქმლნი ბესარიონ გამაშვილისაგან 1749—1791, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1885, გვ. 3.

³ იქვე, გვ. 11.

⁴ ბესიკი (ბესარიონ გამაშვილი), ს. რ. გორგაძის რედაქციით, თბილისი, 1912, გვ. VII.

1922 წელს გაზეთ „ბანტრიონში“ ს. გორგაძემ გამოაქვეყნა ხსენებული ავტოგრაფი და ამ მასალაზე დაყრდნობით შეასწორა ბესიკის დაბადების თარიღი. ს. გორგაძე წერდა: „ამავე შინაწერში მოიპოვება სათარიღო ცნობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შესწორება შევიტანოთ ბესიკის დაბადების თარიღში, ამ ცნობის მიხედვით, ბესარიონ გაბაშვილი 28 წლისა („ყოყავ წლისა კმ“) ყოფილა, როცა სოლომონ მეფეს სპარსეთში წაუვლენია. ხოლო, როგორც ვიცით, ეს დეპანობა ეკუთვნის 1779 წელს (იხ. ზემოთ). მაშასადამე, ბესიკი დაბადებულია 1751 წელს, და არა 1750 წელს, როგორც წინეთ ვფიქრობდით (ბესიკი, VII) და ეს შესწორება სავსებით ედასტურება მგოსნის საფლავის ქვის წარწერას (იხ. აქვე), საიდგანაც ვტყობილობთ, რომ გარდაცვალების ეამს ბესიკი 48 წლისა („წლისა მ“) ყოფილა (იქვე, გვ. XIV)“¹.

ამერიიდან უმოაერესი ცნობა, რომელსაც მეცნიერები ბესიკის დაბადების თარიღის დასადგენად მიმართავენ, თვით პოეტის ავტოგრაფია (ბესიკის სპარსეთში მოგზაურობის დღიურის ნაწივეტი), სადაც ვკითხულობთ:

„მე იობის ნათესავი გაბაონელიძე, მე მოძღვრისა ზაქარია ყოველდ ღირსისა, ოდეს ვიყავ წლისა კმ (28), მაშინ ვცხოვრებდი იმერეთს მახლობელ მყოფი სოლომონ ძლიერისა და განმანებლებლისა მეფისა დავითიანისა, რამეთუ ამის შინა გამთა წარვივლინე ხსენებულისა ამის მეფისაგან გრანად შირაზს ქაღალად — ქარიშხან ზანდისა თანა,

და წარსრულმან აევალე რაჭით მთანი მყინვარენი და მივედ დიგორს — ოკსეთს, ხოლო მუნით... იაი მცირე და ვანვისევენი მოსდოვს... აგვისტო იყო მაშინ 8 (28). ხოლო მუნი (თ) ყიზლარად და ყიზლარათ ასტარხანს, ატყრაშეტოდენ დღე მუნ დაეღებ“².

როგორც ცნობილია, დღემდე შემონახულ დღიურის ნაწივეტში პოეტი წელს არსად არ ასახელებს. ამიტომ, ბუნებრივია, ბესიკის დაბადების წლის დასადგენად, პირველ რიგში უნდა დადგენილიყო ბესიკის ირანს გამგზავრების თარიღი. ეს თარიღი კი ავად. მ. ბროსეს მოწმობით 1779 წელი იყო (როგორც ჩანს, ბროსეს ცნობა ბატონიშვილებმა მიაწოდეს)³.

ამიტომაც ბესიკის თხზულებათა მესამე გამოცემის შესავალ წერილში ავად. ალ. ბარამიძე წერდა:

„ბესარიონ ზაქარიას მე გაბაშვილი დაბადებულია 1751 წელს. ეს თარიღი უცეველია; რადგანაც თავის დღიურებში პოეტი პირდაპირ შენიშნავს, რომ სპარსეთში გამგზავრებისას ის 28 წლის ყოფილა (შდრ. ჩვენი გამოცემის გვ. 1).“

¹ ვახ. „ბანტრიონი“, № 1, 1922 წ.
² იხ. ბესიკი, მესამე გამოცემა, ალ. ბარამიძისა და ვ. თოდუროს რედაქციით, გვ. 104.
³ შდრ. Histoire de la Georgie, II, წ. II, გვ. 447; მასალები საქ. ისტორიისათვის, თბ. 1905, გვ. 25—26; დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 1941 წ., გვ. 16.

მგზავრობის თარიღი კი ისტორიულად კარგად არის ცნობილი და 1779 წელს ადღევარ⁴. ამავე მოსახრებას იმეორებდა ავად. ალ. ბარამიძე 1940 წელსაც⁵.

ეს უკანასკნელი მოსახრება შემდეგ გაიზიარეს ცნობილმა შვედუვარებმა ავად. ვ. კეკელიძემ⁶ და პოეტმა ავადმეიკისმა გ. ლეონიძემ⁷. ასე, რომ 1885 წლიდან 1912 წლამდე ბესიკის დაბადების თარიღად მიღებული იყო 1749 წელი 1912 წლიდან 1922 წლამდე — 1750 წელი, ხოლო 1922 წლიდან 1942 წლამდე — 1751 წელი.

მაგრამ 1942 წელს ავად. გ. ლეონიძემ (ზემოთ ხსენებული შრომის ბოლო ნაწილშივე) უარყო თავისივე ადრინდელი მოსახრება და ბესიკის დაბადების თარიღად შემოგეთავაზა 1750 წელი⁸ (ფაქტიურად გაიმეორა ს. გორგაძის ადრინდელი მოსახრება). ეს შესწორება ემყარება შემდეგ გარემოებას: გ. ლეონიძემ ყურადღება მიაქცია ახალციხელი მღვდლისა ხოჯავანთ ივანეს დღიურს, სადაც 1779 წლის ამბების გადმოცემისას ნათქვამია: „11 ენკენის (თვეს) ბაქარის შვილის ალექსანდრეს მოსკელა თქვეს იმერეთს, (ს)პარსეთითგან რომ გამოიპარა“⁹. რა თქმა უნდა, გ. ლეონიძე გულისხმობდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ირანიდან ჩამოიყვანა ბესიკმა. და თუ ბესიკი 1779 წლის ბოლოს საქართველოში დაბრუნდა, მაშასადამე, იგი საქართველოდან 1778 წელს უნდა წასულიყო. ხოლო რაკი თავის დღიურში ბესიკი წერს ირანს წასვლისას 28 წლის ვიყავიო, იგი დაბადებულია (1778—28=1750) 1750 წელს. ამავე თვალსაზრისს იმეორებს გ. ლეონიძე 1949 წელსაც¹⁰.

1951 წელს შ. ბურჯანაძემ არასაკმაოდ დასაბუთებულად მიიჩნია გ. ლეონიძის ახალი მოსახრება და იესე ოსეშვილის თავგადასავალზე, როგორც საიმედო წყაროზე, დაყრდნობით, სცადა დაესაბუთებინა, რომ ბესიკი იმავე 1750 წელს დაბადებულია¹¹.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ლეონიძისა და ბურჯანაძის მოსახრება, როგორც ახლა ირკვევა, სწორი ყოფილა, მაგრამ დასაბუთებული არც ერთი არ არის. ამასთან გ. ლეონიძის მოსახრებას მაინც აქვს რაღაც საფუძველი, რაკი ხოჯავანთ ივანეს დღიურში ლამარაკია ალექსანდრე ბატონიშვილის ირანიდან დაბრუნებაზე¹². რაკ შეეხება შ. ბურჯანაძის მიერ მოტანილ საბუთს, — იესე ოსეშვილის თავგადასავალს, — მის არც ერთ გამოცემაში არაა ნახსენ-

⁴ ბესიკი, მესამე გამოცემა, ალ. ბარამიძისა და ვ. თოდუროს რედაქციით, გვ. 98.
⁵ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, II, 1940, გვ. 367.
⁶ ვ. კეკელიძე, მღვდელ ქართული ლიტ. ისტორია, II, 1941, გვ. 610.
⁷ გ. ლეონიძე, ბესიკი (წიგნში) „ლიტერატურის ბატონი“, 1942, № 3—4, გვ. 361.
⁸ იქვე, გვ. 431.
⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H 2762, გვ. 37 (ფურც. 19).
¹⁰ გ. ლეონიძე, მიგბანი, ქართული ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1949 წ., გვ. 259—260.
¹¹ შდრ. „მომოხილველი“, II, 1951, გვ. 477—478.
¹² შდრ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H 2762, გვ. 37.

ნები არც ალექსანდრე ბატონიშვილსა და არც ბესიკის ირანიდან დაბრუნებას, განა ერეკლე რომ ერევიდან დაბრუნდა და 1779 წლის „ვიორგობის 10 ტფილისის შემობრძანდა“ იმის მარვენებელია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ბესიკის ირანიდან ჩამოუყვანია და აჯანყების საფრთხე შეუქმნია? (რა თქმა უნდა, სწვა სურათი წარმოდგებოდა, რომ შოთა ბურჯანაძეს თავისი დედასაზრისის დასასაბუთებლად „მუდგეგ“ კახეთის ცხოვრებისა“ მოეშველებინა, მაგრამ ეს რატომღაც არ გაუკეთებია).

ასეთია ის საბუთები, რომლებიც მოტანილია უკანასკნელ მოსახრებათა სასარგებლოდ.

ბუნებრივად ისმება კითხვა: რა საფუძველი გვაქვს იმისა ვამტკიცოთ, რომ რაკი ალექსანდრე ბატონიშვილი დაბრუნდა ირანიდან 1779 წლის ბოლოს, უკვე აღად ბესიკიც დაბრუნდა? და, მეორე, დავუშვათ რომ ბესიკი შარტლავ დაბრუნდა ირანიდან (ალექსანდრე ბაქარის ბესთან ერთად) 1779 წლის ბოლოს, ეს ხომ მხოლოდ უარყოფს ბესიკის საქართველოდან წასვლის დაშეებას 1779 წელს და მეტს არაფერს იძლევა. და განა 1779 წელს ბესიკის საქართველოდან წასვლის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ბესიკი უკვე აღად 1778 წელს გაემგზავრა საქართველოდან? ხომ შეიძლება რომ იგი 1777 წელს გაემგზავნა? (გ. ლეონიძის მტკიცებით ხომ ჩვენ 1777 დასაწყისიდან ვერ ვხედავთ ბესიკის თბილისში); და განა XVIII საუკუნეში ცოტა შემთხვევა ვიცით ირანსა და რუსეთში ელჩობის 2—3 წელს გაგრძელებისა?

როგორც ვხედავთ, ჩვენ ვერ დადგენილი არა გვაქვს ბესიკის საქართველოდან წასვლის თარიღი და მასასადამე, ბესიკის დაბადების წელიც. ჩვენმა მკვლევარებმა მხოლოდ მიზეზდრებით უარყვეს ბესიკის საქართველოდან წასვლის შესაძლებლობა 1779 წელს, მაგრამ იგი ვერ დასაბუთეს. მით უმეტეს ვერ დასაბუთეს ბესიკის ირანს გამგზავრება 1778 წელს. მასასადამე, ვერ დადგინეს ბესიკის დაბადების წელიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დიდი მკვლევარი აწ განსვენებული აკად. კ. კეკელიძე 1958 წელს წერდა: „ბიოგრაფიული ცნობები ბესიკის შესახებ იმდენად დარბია, რომ ისიც კი საძიებელია, თუ როდის დაიბადა და გარდაიცვალა პოეტის“.

ასეთ პირობებში, ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ბესიკის ირანს გამგზავრების თარიღის დადგენას, რომ დავახუსტოთ ბესიკის დაბადების წელი.

1962 წელს ასტრახანისა და მოსკოვის არქივებში ჩვენ აღმოვაჩინეთ დოკუმენტები, რომლებიც ბესიკის ირანს ელჩობას ეხება, რითაც საბოლოოდ დაკადგინეთ პოეტის ირანს გამგზავრების თარიღი. იმერეთის მეფის სოლომონ I წერილში ასტრახანის გუბერნატორ-გენერალ ივანე იაკობისადმი, რომელიც ბე-

1 შტრ. თავდასაჯალი იესე ისეს შვილისა, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913, გვ. 119—121; იესე შარათაშვილის ცხოვრება — ანდრობ. ა. იოსელიანის გამოცემა, 1950, გვ. 92—93.
2 იხ. საქართველოს ცხოვრება, ზ. ქიქოძის რედაქციით, 1913 წ., გვ. 289—290.
3 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 664.

სიკს გაატანეს, ნათქვამია: „მეორედ თქვენის უწარჩინებულესისა მალაღშობილებისა და მალაღ მსველელობისაგან ამასაც ვითხოვ, ეს ჩვენი კნიაზი ვისარიონ ვახოანის ვიახლებათ, ჩვენს ამბავსაც ეს მოვახსენებთ და წყალობას ვითხოვო, რომ ვილახმდის მშვიდობის გზით მიაწვივით... ვევედრები სიყვარულსა და შეგობრობისათვის, წყლით იყოს თუ ქმელით კაისტუმროთ და მშვიდობით აქამდინ მთავდეს და როდისაც რომ იქიდამ მანდ ვიახლებათ, აქეთაც კეთილი გზის წყალობა უფოთ, რომ რაც წამოილოს აქ ჩემამდინ მოაწვივითო დიდად მშვიდობელი და მოსამსახურე მამყოფეთ მეც, და ახლაც მოვახსენებთ და ეახხოვ, რომ ამ კნიაზ ვისარიონთან ლებელი კაცი მამუკა ვიახლებათ, ამისის ტვლით წიგნი ადრე გვიბოძეთ და რაც ჩემგან სამსახური გეგნებოთ გარჩევით გვიბრძანეთ. დიდად მშვიდობელი ვიქნები და დიდის სიხარულით გაასლებთ, რომელსაც სამსახურს გვიბრძანებთ. თქვენის სამსახურის მოსურნე მეფე იმერეთისა სოლომონ. აღიწერა აგვისტოს კ (20), წელსა ჩლომ (1778)“.

როგორც ვხედავთ, ბესიკი ქუთაისიდან (თუ იმერეთის მეფის რომელიმე სახაფხულო რეზიდენციიდან) 1778 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული წერილით გაუგზავნიათ და, როგორც პოეტის დღიურით გვატყობინებს, 28 აგვისტოს მოზდოქში ყოფილა? თუ გავითვალისწინებთ გზის თავისებურებას (ბოეტმა იმგზავრა რაქის გზით, მაისონის გადასასვლელით) და მანძილს (დაახლოებით გაიარა 350 კილომეტრამდე), ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მას არა შარტო შეუფერებლად და ნორმალურად უმგზავრია იგი უკვე აღად 1778 წლის 20 აგვისტოსვე გამგზავრებულა ქუთაისიდან (7—8 დღეზე ნაკლებ დროში მოზდოქში ცხენით ჩასვლა ძნელი საქმე იყო).

ვფიქრობ, დავას არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ საფლავის ქვის წირწერა პოეტის დაბადების თარიღის დასადგენად არ გამოდგება, რადგან 1791 წლის 24 იანვარს 40 წლის ასაკში გარდაცვლილი კაცი თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც 1750, ისე 1751 წელს დაბადებულად (24 იანვარი ხომ დაქტიურად წლის დასაწყისია).

რაც შეეხება პოეტის დღიურს, გარდა იმისა, რომ იგი ავტოგრაფია და ბესიკს ეკუთვნის, ის უპირატესობაც აქვს, რომ აგვისტო, როცა ბესიკი თავს 28 წლისად გვაცნობს, შუა წელია, რაც (ეპიტაფიასაც თუ ანგარიშს გავუწევთ — 1791 წლის 24 იანვარს 40 წლის ასაკში გარდაცვლილი კაცი არ შეიძლება მივიჩნიოთ 1749 წელს დაბადებულად) სადავოს არ უნდა ხდიდეს, რომ ბესიკი დაბადებულა 1750 (1778—28) წელს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პოეტის დღიური და სოლომონ მეფის ხსენებული წერილი უნიკალური დოკუმენტებია ბესიკის დაბადების თარიღის დასადგენად; ამ დოკუმენტების შეცვლა პოეტის დაბადების თარიღის დასადგენად თვით საეკლესიო ჩანაწერსაც კი, რომლის აღ-

1 АВПР. Ф. Сп. Россия с Персией. 1776-1784 гг., т. 481, л. 265.
2 შტრ. ბესიკი, მესამე გამოცემა, გვ. 104.
3 იქვე.

მოჩენის იმედი მწელადღა შეგვიძლია ვიჭონოთ, არ შეუძლია. ზესიკა 1750 წელს დაიბადა.

პოეტის დღიურზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ზესიკის დღიური დაუწერია გვიან, როცა მას ბევრი რამ დაეწეგებული ჰქონდა. ჯერ-ერთი, ცენტრალური ირანში მოგზაურობისას პოეტი წერს: „ყახშინიო მლოთეს დღეს საცა ქალაქსა ერავისასა ერთი დღე განვისვენე და მღნიო ყუმს მესამესა დღესა შთავედითო“¹, აქ პოეტს, როგორც ჩანს, მისი ერავის გზით უკან დაბრუნების ამბავი აქვს არეული ირანში მოგზაურობასთან (ამაზე ცალკე გვექნება საუბარი). მეორე, ახლა რაი ჩვენ პოეტის მარშრუტი თითქმის ზუსტად დადგენილი და დოკუმენტალურ მასალებზე დაყრდნობით ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული გვაქვს, ჩვენს გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება — რატომ მაინცა და მაინც პოეტი გვამცნობს, რომ 28 აგვისტოსაა მოზდოკში? რატომ ეს თარიღი დაახლოდა მას? მაშინ როცა მოზდოკში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. რატომ არაფერს წერს იმაზე, რომ იგი 1778 წლის 20 აგვისტოს წავიდა იმერეთიდან?², 1778 წლის 6 სექტემბერს სტანიცა შადრინში შეხვდა ასტრახანის გუბერნატორს გეგერალ ა. იაკობის და სოლომონ მეფის წერილი ვადისცა და ზეპირა მოხსენებაჲ გაუკეთა იმერეთის სამეფოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ³, 1778 წლის 4 ოქტომბერს ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიის თხოვა ნიკიტა კალუსტოვის (ალბათ უნდა იყოს მიკირტუმ კალსტაიან) გვით გამგზავნეთ სპარსეთში⁴ და სხვ.

ზემოაღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ პოეტმა დღიური დაწერა გვიან, როცა მას ბევრი რამ დაეწეგებული ჰქონდა, მაგრამ მას რატომღაც არ ავიწყდება 28 აგვისტო — უთუოდ თავისი ცხოვრების რაღაც მნიშვნელოვანი თარიღი. ბუნებრივად ისმება კითხვა: ხომ არ არის ზესიკის დაბადების დღე 1750 წლის 28 აგვისტო? იქნებ მიზანშეწონილი იქნებოდა მომავალში ზესიკის დაბადების დღე 28 აგვისტოს აღვენიშნა?

¹ შტრ. ზესიკა, მესამე გამოცემა, გვ. 104.

² АВВР. Ф. Св. России с Персией, 1776—1784 гг., т. 481, л. 265.

³ ი ა გ ა: ფურცელი 266—267.

⁴ Астраханский областной архив, ф. 394, оп. I, л. 4719, л. 415.

⁵ აქვე შელიანად ვაქვეყნებთ სოლომონ მეფის წერილის დედანს, როგორც უმთავრეს და კუმენტს ზესიკის დაბადების თარიღის დასადგენად. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა სხვა მხრივაც დიდაა, მაგრამ ჩვენ მასზე არ ვერთვებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ დღემდე ჩვენი მეცნიერები ზესიკის ქართლიდან განდევნის სხვადასხვა თარიღს გვითავაზობენ, უკანასკნელი მოსახრება ზესიკის უცვლელად იმერეთში ყოფნას თარიღისა, პოეტის ირანში გაგზავნის თარიღზე იყო დამოკიდებული და, ცხადია, ამ თარიღის დაზუსტებით, იმერეთში პოეტის უცვლელი ყოფნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი დოკუმენტალურად დადგინდა. ვარდა ამისა, სოლომონ მეფის წერილი დღემდე ცნობილი პირველი დოკუმენტიცაა, სადაც ზესიკა, ქართლიდან ახლახან გაძევებული აზნაური, თავადს წოდებაში იხსენიება.

შენიშვნა

1778 წლის 20 აგვისტო. იმერეთის მეფის სოლომონ I წერილი ასტრახანის გუბერნატორ ივანე შატლომენს მე იაკობისადმი — დახმარება აღმოუჩინოს ზესიკის ირანში გამგზავრების საქმეში.

მაღალშობილო * და მაღალმსგულულო უფალო იანარაღ შაიორო, ორღუნთა წმინდისა დიდისა მოწამისა და ძღვევაშემოსილისა ვიორგვისა და წმინდისა ანასის კაცალერო, ასტრახანისა და მისის მხრის სრულად რომელნიცა იმყოფებიან ბრძანებასა მათის იმპერატორობის დიდებულობის რუსეთის ჯარისა, დიდისა და პატარას ყაზარათისა და რუსეთის მთის ხალხის თაო უფროსი და წინამძღვარო

* დოკუმენტს აქვს მინაწერი: „Получено в Шадрине сентября 6 дня 1778 года“. მინაწერი უნდა გუთვინოდეს ასტრახანის გუბერნატორის საველე კანცელარის მდივანს, რადგან იგი იმავე ხუთთაა ნაწერი, რომლითაც გუბერნატორის მოხსენებები რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი.

ამ დოკუმენტის რუსული თარგმანი, როგორც ჩანს, სტანიცა შადრინშივე შესრულებილია (შარტაშელი ტექსტი) და 1778 წლის 6 სექტემბერს იგი ზესიკას, დედანიან ერთად, შადრინში წარუდგენია ასტრახანის გუბერნატორს გენერალ-მაიორ ივანე იაკობისადმის და ზეპირა მოხსენებაჲ გაუკეთებია იმერეთის სამეფოს საერთაშორისო ეთარობის შესახებ (იხ. АВВР. Ф. Св. России с Персией, 1776—84 г. г., т. 481, л. 266—267), თარგმანის ასლის ერთი ცალი, რომელსაც ზელს აწერს „სოვეტნიო“¹ ივანე შაიცივო, დაცულია რუსეთის საგარეო პოლიტიკას არქივში (იხ. АВВР. Ф. Св. России с Персией, 1776—84 г. г., т. 481, л. 264). იგი ასტრახანის გუბერნატორს ა. იაკობის თავის 1778 წლის 11 სექტემბრით დათხოვნილ მოხსენებასთან და სოლომონ მეფის წერილის დედანიან ერთად, საველე ბანაკ „ბრაგუმსაიე ვადიდან“ (თერგის ხაზზე, მოზდოკის და ყიზილბაის შორის, სტანიცა შადრინის ახლოს) გაუგზავნია რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმის, სადაც წარუდგენია პრაპორშნიკ ონიფრე შესტაიკოს 1778 წლის 13 ოქტომბერს (იხ. АВВР. Ф. Св. России с Персией, 1776—84 г. г., т. 481, л. 264—267), ხოლო თარგმანის ასლის მეორე ცალი (დამოწმებული იმავე ი. შაიცივის მიერ), რომელიც მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივშია დაცული (იხ. ЦГВИА, ф. 52, оп. 184, св. 107, л. 161, л. 12), ასტრახანის გუბერნატორის მიერ შადრინიდან 1778 წლის 11 სექტემბერს თავ. გ. ა. პოტიომკინისადმი გაგზავნილი საველმლო მოხსენებისათვის დაერთათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიც სამხედრო კოლეგიამ პრაპორშნიკ ონიფრე შესტაიკოს უნდა წარუდგინა.

ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია აქვე შევნიშნოთ, რომ ჩვენი წერილი დიდი ხნის წინათ გადაცემა დასაბუქვილ ე. „შნათობის“ რედაქციას, მაგრამ მისი დაბეჭდვა დაყოფნა. 1963 წლის 30 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და საქართველოს პედინსტიტუტების ისტორიის კათედრების გაერთიანებულ

იოანე ბართლომეს ძეო იაკობი

საქადულო ჩემო და მწყალობელო ჩემო
საკუთარო მოყვასო შევთაბარო და მშაო

მტყციოთა სიყვარულითა ტრფიალებით სურვილი სამსახურისა იქვენიას მრავლად მოგხსენდეს.

ამისა შემდგომად მოხარული სულითა, გონებითა და პირითა მოვილოცავ მათის დიდებულობის იმპერატორობის უბედნიერესობასა და დიდისა რუსეთის მემკვიდრის დიდისა თავადის ბაეღეს მის ახლისა ყრმისა ალექსანდრეს შობასა, რომლისაცა შობითა ყოველი ქრისტეს მოსახელენი განგნათლით და სიბრული ჩვენი აღობინდა.

სამეციური სესაზე ვითხულობდი მოხსენებას თმასზე: „დოკუმენტები ბესიკის ირანში ელზობის შესახებ“ (მოხსენების თეზისები დაბეჭდილად). მოხსენების წინ ქუთაისის აღ. წუღუნების სახელმის შედისტრუქტის დოკუმენტი და ჩანელიძემ მაქნობა, რომ თეზისებში მოხსენებელი დოკუმენტებიდან ერთი დოკუმენტი (ყრბოდ, სოლომონ შეფის წერილი, რომელსაც იქვე იქვეყნებთ) მან მთლიანად გამოქვეყნა ქუთაისის საჯალაქო გაზეთი „სტალინელი“ 1961 წლის 17 ნოემბერს დაბეჭდილ წერილში, ჩვენ ბოდიში მოვუხადეთ დოც. დ. ჩანელიძეს, რომ არაფერი ვიცოდით მისი წერილის შესახებ ჩემი მოხსენების თეზისების გამოქვეყნებამდე და ამიტომ თეზისებში იგი ვერ მოვიხსენიე, ამასთან დოც. დ. ჩანელიძეს ვაცნობე, რომ მისი წერილის არსებობა უცნობი დარჩენილა ბესიკის თხზულებებით შეგუბე გამოცემის რედაქციისათვის (წიგნი ხელმოწერილ იქნა დასაბეჭდად 1962 წლის 26/IX) და ს. ციხელიძისათვისაც რომელსაც ბესიკზე გამოქვეყნება პიანუღარული ნარკვევი (ს. ციხელიძის ნაშრომი ხელმოწერილი იქნა დასაბეჭდად 1962 წლის 14/IX).

ჩვენ გვეცნობი დოც. დ. ჩანელიძის წერილი და აღმოჩნდა, რომ იტყობა მის მიერ მოკლულ საბჭოს განხილავს როგორც ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის საყვარელდებო დოკუმენტს, რაც შეეხება სოლომონ შეფის წერილის მნიშვნელობას ბესიკის დაბადების ადრის დასაბეჭდად, ამაზე არაფერს ამბობს.

საშუბაროდ, დოკუმენტი გამოქვეყნებულია შეცდომებით (შენიშნულია სერიოზული ხასიათის 18 შეცდომა, ასე მავალითად, ტექსტში სიტყვათა აღქმისაღრეს დაბადებას ჩვენ „დიდნი და მცირენი, მოხუცებულნი და ყრმანი, ერთბაშად ... გულითა და სულითა... მოგილოცავთ“, ე. ი. ეველა ერთად, ერთობით მოვილოცავთო. — დოც. დ. ჩანელიძეს კი ასე ამოიკითხავს: „ერთბაშად... მოგილოცავთ“, ან კიდევ, ტექსტში ნათქვამია: რაც ალექსანდრეს დაბადების ამბავმა ჩვენამდე მოაღწია „მიერ ვამ ქელადურობით“ დმერთა მადლობას შევთხოვთ და ხელმოწოდის „გამძლიერების მთხოველი ვართ წინაშე ღვთისა“, დოც. დ. ჩანელიძეს კი იცრება ამ კლადურობით“ ამოიკითხავს, როგორც „მიერაცამ ხელდაურობით“, რაც ტექსტს გავუგებარს ზდის, „მიერ ვამ“ ნიშნავს იმ დროიდან, მის შემდეგ ი მ ი ე რ ბ ა და ს. ასეთი მავალი ადები სხვაე შეიძლება მოგვეტანა). რაც მოთავარი, დოც. დ. ჩანელიძეს შეცდომით აქვს ამოკითხული დოკუმენტის თაობად, დედანშია: „ადიწერა აგვისტოს კ“ დოც. დ. ჩანელიძეს წერს: „ადიწერა აგვისტოს კ“ (ის, ქუთაისის საჯალაქო გაზეთი „სტალინელი“, 1961 წლის 17 ნოემბრისა). კლ-20-ს და არა 2-ს (ამ უკანასკნელ შეცდომას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, დოც. დ. ჩანელიძე თავს დაადევნდა, რომ ბესიკის თანდასწრებით შედრისნივე შესარტლებული სოლომონ შეფის წერილის რუსული თარგმანი ვერსაწავ, რომელიც საქმეში იქვე გვერდითია დოკუმენტი).

დოკუმენტი ქვეყნდება უცვლელად გამოცემულ ვაუთენის მხილოდ ბეჭედათა.

ამისთვის მადლობისა შემწირველნი ჩვენ ღვთისა მოწყალებისანი დიდნი და მცირენი, მოხუცებულნი და ყრმანი, ერთბაშად ოსანანსებრ მლაღადებულნი შენა მავას მალად მსვლელობასა მღვიძარითა გულითა და სულითა გიხაროდენსა გიძღვნით და მოგილოცავთ.

ირწმუნოს თქვენმან ბედნიერმან მადლობილებამ ქეშმარიტებით, რომ როდესცა ეს სახარტლეენი ამბავი მოიწია ჩვენდა და ვისმინეთ მიერ ვამ კელადურობით ღვთის მოწყალებას ემადლობთ და რაოდენ შემძლებელნი ვართ და ერთაც გემართებს სიხარულსა შინა ვიმყოფებით და მათის კელმწიფობის უფროსად ამალეებისა და გინაღიერების მთხოველი ვართ წინაშე ღვთისა.

ეველად ამისს წყალობას ვედრებით ვითხოვ, რომ ერთის წიგნით საჩქაროდ გვაუწყოთ, თუ ჩვენგან გაიბედებოდეს მათის კელმწიფობის წინაშე კაცს ვახსენებთ და რაოდენ გვიძღვნი და შევიძლებთ ამ საქმეს მოულოცავთ, რადგან მათნი მონანი და კელმწიფობის მავურებელი ვართ და მავათის მდებრობრივის მოწყალებით მტერთა ჩვენთაგან გამოხსილნი და განთავისუფლებულნი ესტოვრებთ. ამისთვის თქვენგანაც დარწმუნებით მოველით და ვითხოვთ, რომ წიგნი გვიბოძოთ ერთი და გვიბძანოთ, რომ ჩვენი კაცი ვახსოვთ ყ-დ მოწყალებს კელმწიფეს და ჩვენც მოულოცოთ დიდი ესე სიხარული და შობა მისა მათისა თავადისა დიდისა ალექსანდრესი.

შეორედ თქვენის უწარჩინებულესისა მადლობილებისა და მადლობსვლელობისაგან ამსაე ვითხოვ ეს ჩვენი კნიაზი ვისარონე გამაონი გიხსენებათ, ჩვენს ამბავსაც ეს მოგახსენებსთ და წყალობას ვითხოვთ, რომ გილანამდინ მშვიდობის გზით მიაწევიზით. ადამად ხანს ზოგი ერთი რამ ვითხოვ და წიგნი მავ ჩვენს კნიაზს გამოვატანე იმასთან და რაც მოთხოვნი ვიცი გამომიგზავნის და გვედრებო სიყვარულისა და მეგობრობისათვის წყლით ივოს თუ კმელით გაისტუმროთ და მშვიდობით იქამდინ მივიდეს და როდისაც რომ იქიდან მანდ ვიხსენებათ, აქეთაც კეთილი გზის წყალობა უყოთ, რომ რაც წამოიღოს აქ ჩემამდინ მოაწევიზით დიდად მმადლობელი და მოსამსახურე მამყოფეთ მეც, და ახლავ მოგახსენებთ და ვითხოვ, რომ ამ კნიაზ ვისარონთან ღებელი კაცი მამუკა გიხსენებათ, ამისის კელით წიგნი ადრე გვიბოძეთ და რაც ჩემგან სამსახური ეგებობთ გარჩევით გვიბრძანეთ. დიდად მმადლობელი ვიქნები და დიდის სიხარულით გააბლებთ, რომელსაც სამსახურს გვიბძანებთ.

ადიწერა აგვისტოს კ [20] წელსა თქვენის სამსახურის მოსტრენ
ჩლომ [1778]. შედე იმერეთისა სოლომონ
АВНР, ф. Сношения России с Персией, 1776—1784 гг., д. 481, л. 265.

სარ კავშირის ისტორიის კათედრა (შემოვიდა რედაქციაში 1. 6. 1963)

МАЧАРАДЗЕ В. Г.

ДАТА РОЖДЕНИЯ БЕСИКИ

Резюме

Дата рождения выдающегося грузинского поэта XVIII века, классика грузинской литературы Виссариона Захарьевича ГАБАШВИЛИ (Бесики) до сих пор не установлена и в научной литературе по сей день остается спорным. Достаточно вспомнить, что со времени первого издания произведений поэта (1885 года) до последнего времени биографы предпологали разные даты. Так, с 1885 года по 1912 год в научной литературе годом рождения Бесики был принят 1749 год, с 1912 года по 1922 год — 1750 год, с 1922 года по 1942 год — 1751 год, а с 1942 года — снова предполагают 1750 год. Но, к сожалению, и последняя дата научно не обоснована. Такое расхождение вызвано отсутствием прямого документального материала (метрической записи).

Ценнейшим источником для установления даты рождения Бесики является дневник поэта, найденный Г. Леонидзе в 1921 году, где сказано, что во время отправления в Персию ему было 28 лет. Но, в дневнике не указан год отправления Бесики в Персию, а для того чтобы установить дату рождения поэта, сперва надо было установить год отправления. По сведениям царевича Давида, поэта в Персию послали в 1779 году, а если тогда ему было 28 лет, выходит, что Бесики родился в 1751 году (1779—28).

В 1942 году Г. Леонидзе, а затем Ш. Бурджанадзе обратили внимание на возвращение в Грузию царевича Александра Бакаровича (по сведениям, Бесики привез из Персии царевича Александра, претендента на Картлийский престол) и этот факт сочли достаточным, чтобы отрицать возможность отправления Бесики в Персию в 1779 году. По их мнению, поскольку Александр Бакарович вернулся в Грузию в конце 1779 года, Бесики должен быть послан в Персию не в 1779 году (он бы не успел в том же году вернуться в Грузию), а в 1778 году. Такая трактовка не убедительна: во-первых, появление Александра Бакаровича в Грузии в конце 1779 г. еще не значит, что обязательно вернулся с ним и Бесики (в источниках о возвращении Бесики нет никаких указаний; там только лишь сказано: «говорят о прибытии в Имерети Александра Бакаровича, который удрал из Персии»); во-вторых, хотя и нет никаких оснований, но если допустим, что Бесики действительно вернулся из Персии вместе с царевичем Александром в конце 1779 года, то это в лучшем случае только лишь исключает возможность отправления поэта в Персию в 1779 году, но исключение возможности отправления Бесики в Персию в 1779 году еще не значит, что поэта действительно послали в Персию в 1778 году; почему же нельзя допустить, что поэт был послан раньше? Разве мало примеров продолжения посольства 2-3 года в XVIII веке? Тем более, что мы не располагаем точными документальными данными, где находился поэт с начала 1777 года по 1780 г. Таким образом, документы, привлеченные в пользу последнего мнения, не убедительны и вопрос остается открытым.

Выявленные нами документы в астраханских и московских архивах содержат ценные сведения о посольстве поэта в Персию. Что самое главное, письмо царя Соломона I к астраханскому губернатору генералу

И. Якоби, врученное поэту Габашили перед его отправлением в Персию, как документ, удостоверяющий его поручение и содержащий ходатайство о пропуске его через Астрахань в Персию, датировано так: «Исписано августа 20-го 1778-го года», 6 сентября 1778 года указанное письмо поэт лично вручил адресату (генералу Якоби) в Шадрипе.

Бесики выехал в Персию 20 августа 1778 года. Раз тогда ему было 28 лет, как это он сам говорит в своем дневнике, Бесики родился в 1750 году.

Кроме того, изучение документов истории посольства и сопоставление их с дневником поэта позволяет нам утверждать, что поэт свой дневник написал позднее, когда он многого, заслуживающего внимания с точки зрения истории посольства, не помнил; вместе с тем, поэт не забывал, что 28 августа он был в Моздоке и даже считает нужным в дневнике посольства упомянуть, что во время отправления в Персию ему было 28 лет. Вышеуказанное обстоятельство заставляет думать, что поэт, забыв о многом, помнит интересную дату своей жизни—по-видимому, дату своего рождения — 28 августа.

К статье прилагается письмо имеретского царя Соломона I к астраханскому губернатору И. Якоби от 20 августа 1778 года. Значение публикуемого документа велико не только для уточнения даты рождения Бесики, но и для изучения истории посольства поэта в Персию и истории русско-грузинских отношений, а также для биографии поэта — уточняет верхнюю хронологическую грань пребывания поэта, изгнанного из Картли, в Имерети. Указанный документ является пока самым ранним, где поэт, недавно изгнанный из Картли дворянин, сын попа, упоминается в достоинстве князя.